ს.ს.ი.პ
„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“
ბრძანება

23.09.2008 № 77

(თბილისი)

/2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად სტუ-ს დევნილი სტუდენტებისათვის დახმარების გაწევის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების საფუძველზე და 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად დევნილ სტუდენტთა წახალისების მიზნით

ვბრძანებ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უმაღლესი პროფესიული, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის იმ სტუდენტებს, რომელთაც მიმდინარე წლის საომარი მდგომარეობის გამო მიენიჭათ დევნილის (იძულებით გადაადგილებულის) სტატუსი, გაეწიოთ ფინანსური დახმარება თვეში 60 (სამოცი) ლარის ოდენობით.
2. ამ ბრძანებით განსაზღვრული დახმარება გაიცეს მიმდინარე წლის სამი კალენდარული თვის განმავლობაში - ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი.
3. ამ ბრძანებით განსაზღვრული დახმარების მისაღებად სტუდენტებმა უნდა გაიარონ რეგისტრაცია სტუ-ს შესაბამის ფაკულტეტებზე 2008 წლის 1 ოქტომბრიდან 15 ოქტომბრის ჩათვლით;
4. რეგისტრაციისათვის სტუდენტმა თან უნდა იქონიოს:

ა. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

ბ. დევნილის (იძულებით გადაადგილებულის) სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

5. ფაკულტეტის დეკანებმა რეგისტრაციის დასრულებისთანავე უზრუნველყონ რეგისტრირებულ სტუდენტთა მონაცემების წარმოდგენა სტუ-ს აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილებაში.
6. ბრძანების შესახებ სტუდენტთა ინფორმირება უზრუნველყოს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანებმა.
7. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თავლსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებ გვერდზე.
8. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
პროფესორი — ქ. ქოქრაშვილი

სამართლებრივი უზრუნველყოფის
განყოფილების უფროსი — ბ. მაისურაძე